კანტორა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., თავ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 9—3 საათამდე და საღამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია

უ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირ-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთი თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირება 1 მან. 50 კაპ.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის ... ი სობრანიეს გვერდზედ.

იშემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება ფვრილად და პარტიოვით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სათვალსაჩინო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნაძვის ხისათვის

აღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—82)


# ახალი ამბავი

*** ტფილისის პოლიცმეისტრის მიმართვა ქალაქის გამგეობასთან. ტფილისის პოლიცმეისტერი მიმართავს ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქმა დანიშნოს წელიწადში 300 მანეთი ჯამაგირათ მუდამ წელს მუშტაიდის ბაღის პოლიციის დარაჯისათვის პოლიცმეისტერი თავის წარდგენილებაში ამბობს, რომ ორი დარაჯი, რომელთაც სამინისტრო ინახავს თავის ხარჯზე, არა ჰყოფნისო.

*** შეწირულება. კავკასიის მთავარ-მართებელმა შესწირა ტფილისის ვაჟების გიმნაზიების მერვე კლასების ღარიბ მოწაფეებს: პირველ გიმნაზიას 100 მანეთი, მეორე გიმნაზიას 100 მან და მესამე გიმნაზიას 100 მან.

*** ძველი ხელთნაწერის აღმოჩენა. თავ. მიხეილ ომანის ძე ხერხეულიძეს, ყარსის პოლიცმეისტერს, რომელიც აქამდისინ იყო ფოცხოვას ოლქის უფროსათ, აღმოუჩენია ახალციხის მაზრაში ქვები ქართულის წარწერით, რომელიც შეეხება საქართველოს მეფის ბაგრატ III დროებას. ეს ქვები თ. ხერხეულიძემ წარდგინა საქართველოს საეკლესიო-სიძველეთ-საცავის საარქეოლოგიო მუზეუმში.

*** ტფილისის ელექტრონი. აზნაურმა ი. ი. პოლტარაცკიმ, რომელმაც თავისი პირობები წარუდგინა ჩვენს ქალაქს, შესახებ მთელის ქალაქის ელექტრონით განათებაზე, ხელახლა იწერება ქ. პარიზიდან: „ეხლა გავიგე, რომ ქალაქს მოსწონებია რობის პირობებით, როცა ჩემი პირობები გაცილებით სჯობდაო; ჩემი პირობი სჯობიაო და თუ გნებავთ ვკისრულობ იმ პირობებს, რაც ანონიმნი საზოგადოებამ წარმოგიდგინათ, გარდა ამისა გიმატებთ შემოსავალს შედარებით იმ პირობასთან. 40,000 მან. მაგიერ ვიხდი 50,000 მანეთათ ბაზრის მიწების იჯარაზე. გარდა ამისა მე გავიყვან რკინის გზას მნაცაკანოვის ხიდიდან ავლაბრამდის და ნავთლუღამდის". გარდა ამისა ჩამოთვლილია დაწვრილებით თუ რა მოგება უნდა ნახოს ქალაქმა შედარებით იმ პირობებთან, რომელიც დაიჭირა ქალაქმა ანონიმნის საზოგადოებასთან.

*** საბადლოსნო სასწავლებლის გამგეობა მეცადინეობდა ქალაქის გამგეობასთან იმაზედ, რომ საბადლოსნოს მიეცეს ქალაქისაგან წყალი მუქთათ. ეს კითხვა გამგეობამ საბჭოს გარდასცა. გამგეობამ თავის მხრივ გარდასწყვიტა რომ ეს თხოვნა უნდა დაკმაყოფილებულ იყვეს, ამ გარდაწყვეტილებით უნდა მიეცეს სასწავლებელს წელიწადში 60,000 ვედრა წყალი, აგრეთვე უნდა ეპატიოს სასწავლებელს 1899 წლის ნედოიმკა 120 მანეთი.

*** სამოსამართლო სესია ტფილისის ოლქის სასამართლოსი ქალაქ გორში იქმნება სამიდგან-თექვსმეტამდის დამდეგს დეკემბერში.

*** ტფილისის გუბერნატორს აცნობებენ: 7-ს ამ თვეს მოხდა არჩევნები ქ. გორის მოურავისა და მისი თანაშემწესი. ამორჩეულ იქმნა ოთხის წლით ი. ·ე საჰაკოვი (ექიმი), რომელმაც მიიღო 12 თეთრი კენჭი და შავი არც ერთი, მის თანაშემწეთ ამოურჩეულ იქმნა ა. ი. ანდრონიკოვი (11—1)

*** ქალაქის გამგეობა მეცადინეობს იმაზედ, რომ დაარსებულ იყვეს ახალი თანამდებობა ზედამხედველისა საქალაქო სასწავლებლებისა. ამ ზედამხედველს უნდა ებაროს მხოლოდ სუყველა სასწავლებლების საცხოვრებელი და მათ უნდა განაგებდეს იგი ჯამაგირი ექმნება ზედამხედველს წელიწადში 600 მანეთი.

*** არჩევნები. 16-ს ამ თვეს მოხდა არჩევნები ტფილისის ხელოსნოების თავისა. ყუთი დაიდგეს ხუთმა კაცმა სეროზიანცმა, რაფაელოვმა, კაპანაძემ და როლოვმა. ამორჩეულ იქმნა ისევ შარშანდელი ხელოსანთა თავი სეროზიანცი.


ახალი წიგნები

## მოლიპულ გზაზე

მოთხრობა ანასტასია ერისთავისა ფასი ერთი მანათი.

## მწარე ფიქრები

ლექსები დუტუ მეგრელისა, ფასი ერთი აბაზი.

ვინც ათზე მეტ ცალს დაიბარებს წ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიიდან 20% დაეთმობა.

(10—5)

სამკურნალო და ამბულატორია

# ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვისი

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница С. В Топуріа въ Кутаисѣ.

*** საავათ-მყოფო ქსენონებზედ. საქმო გამგეობამ გარდასწყვიტა, რომ მომატებულ იქმნეს ტფილისის გუბერნიის პროვინციებში საავათ-მყოფო ქსენონები; აგრეთვე უნდა გახსნილ იყვნენ სოფლებში საავათ-მყოფოები.

*** კავკასიის გუბერნატორების ყრილობა ამ თვის გასულს მოხდება ქ. ტფილისში აზრათა აქვთ შეიმუშავონ და სჯა იქონიონ, თუ როგორ დაეხმარნონ თავიანთ გაჭირვებულს ხალხს.

*** მიტროპოლიტ იოანიკეს იუბილეის გამო. როგორც მკითხველებმა იციან, ყოვლად უსამღვდელოესობას კიევის მიტროპოლიტს იოანიკეს შეუსრულდა ეხლა ორმოცდა ათი წელიწადი თავისი სამსახურისა. ამ დღესას წაულს კავკასიის ეპარქიიდგან დაესწრო ეპისკოპოსი კირიონი, დღესასწაულს დღეს ტფილისის გუბერნიის მარშალმა თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმა მისწერა მილოცვა თავად-აზნაურობას დავალებით მიტროპოლიტს იოანიკეს, რომლისაგანაც შემდეგი პასუხი მიიღო: ვუძღვნი თქვენს ბრწყინვალეებას და თვალ-საჩინო საქართველოს თავად-აზნაურობას გულითადს მადლობას იმ კეთილ სურვილისათვის, რომელიც მე მიძღვნა ჩემის ხან მოკლე სამსახურისათვის საქართველოში. გმადლობთ ჩემთვის კეთილის ნდომისათვის და მილოცვისათვის. იოანიკე.

## სამეცნიერო ცნობა

გველის კვერცხებისაგან ზეთის დამზადება. ამერიკაში ეხლა ზეთს ერთგვარის გველის კვერცხებისაგანაც კი ამზადებენ. ბევრს ეს საქმე დიდ შემოსავალსა და სარგებლობას აძლევს. უმთავრესად ამ საქმეს კონნექტიკუტის შტატში მისდევენ, სადაც ბლომად მოიპოვება ის გველი, რომლის კვერცხებიდანაც ზეთს ამზადებენ. ამ გველს რუსულად «гремучая змѣя» ჰქვიან. ზეთს ამერიკელნი წამლად ხმარობენ ქარებისა და ქარებისა და მრავალ სხვა ავად-მყოფობის მოსარჩენად. ერთი უნცია (უნცია გირვანქის $1/_{16}$-ია) ამ გვარის ზეთის შეერთებულ შტატებში 80—100 მანეთადა ჰღირს. ამ გველზე ნადირობა ძნელი არ არის თურმე. მონადირეს თან მიაქვს წვერში მოკაუჭებული შუბი. გველი დაინახავს თუ არა მონადირეს, თვით მიესევა ხოლმე, მაგრამ ამ დროს მონადირე მოკაუჭებულს შუბს კისერში ჩაუყრის და თავს ტანისაგან განაშორებს; შემდეგ გველს მუცელს გაუჭრის და კვერცხებს ამოაცლის.

—

ვეფხვის და ფარშევანგის ამბავი. ინდოეთში ყველასაც სწამს, რომ ვეფხვსა და ფარშავანგს შორის რაღაც საიდუმლო დამოკიდებულება ჰსუფევს. ვეფხვმა რომ ფარშევანგს თვალები დააჭყიტოს; მაგალითად, ეს უკანასკნელი ვეფხვად გადაიქცევაო. როგორც ინგლისელი მოგზაური ტიტლერი მოგვითხრობს, ასეთ ცრუ-მორწმუნეობას თავისი საფუძველი ჰქონია. ვეფხვი მართლაც მოქმედებს თურმე ფარშავანგზე, თუმცა გადაქცევით კი არ გადააქცევს ხოლმე ვეფხვად. ვეფხვს ჩვეულებათ აქვს, როდესაც ფარშავანგს დაინახავს, თვალებს დააჭყეტავს ხოლმე. ფარშავანგებს ამ დროს მოძრაობა და მოქმედება არ შეუძლიანთ, თურმე. ამ გარემოებით სარგებლობენ მცხოვრებნი, ფარშავანგს ატყუებენ და იჭერენ. აი ხსენებული მოგზაური, სხვათა შორის, რას მოგვითხრობს. ერთხელ ტიტლერს ნადირობის დროს მშვენიერი ფარშავანგი დაუნახავს და მოკვლა მოუწადინია. მაგრამ როდესაც ახლო მისულა, იქვე მოშორებით ბუჩქში თვალი მოუკრავს ვეფხვის თავისათვის მონადირეს ჯერ შეშინებია, მაგრამ გაქცევა მაინც სამარცხვინოდ ჩაუთვლია, ამიტომ თოფი აუღია და ვეფხვისათვის დაუმიზნებია; მაგრამ ამ დროს ვეფხვის ნაცვლად ბუჩქებიდგან კაცი წამომდგარა ფეხზედ და დაუძახნია: „ბატონო, მე კაცი ვარ, თოფს ნუ გაისვრითო!“ ამ უცნაურს კაცს ვეფხვის ტყავი ჰქონია თურმე წამოსხმული. შემდეგ ვეფხვის-ტყაოსანს უთქვამს, ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ფარშავანგს ახლო მივპაროდი და დამეჭირათ. მართლაც ისე ახლო მისულა, რომ ხელის გაწოდების მეტი არაფერი უნდოდა თურმე. ფარშავანგი კი უმოძრაოდ და გაშეშებული იჯდა კუნძზედ და გაფრენას არ აპირებდა. ტიტლერი ამბობს, რომ ფარშავანგზედ ვეფხვის თვალები კი არა, ჭრელი ტყავი მოქმედობს და ჰიპნოზს ჰგვრისო.

—

ახალი ასოთ-ამწყობი მანქანა. ერთს ამერიკელს, გვარად დოუს, მოუგონია ახალი ასოთ-ამწყობი მანქანა. ეს მანქანა საოცარი ძვირი და რთული რამ ყოფილა. მანქანა 18,000 ნაწილისაგან შესდგება თურმე. ერთ მხარეს ფორტოპიანოსავით კლავიშები აქვს, რომელთ შემწეობითაც ერთ კაცს შეუძლიან იმდენივე ააწყოს, რამდენიც 50—60 კაცს ერთად მანქანა ოთხი მილიონი მანეთი დაჯდარა.

ოჯახში გამოსადეგი ცნობა

—

ცოცხალი თევზების შენახვა. ამ ჟამად ამერიკაში ვიღაც მორფის მოუგონია ერთი ხერხი, რომლის საშუალებით ორი-სამი კვირის განმავლობაში თევზების შენახვა ცოცხლებად შეიძლება დიდ ჭურჭელში, რამიაც თევზი უნდა შეინახოთ, ნაახევრამდე წყალი, ჩაჰყარეთ ცოცხალი თევზები და ისე მაგრად მოუხურეთ თავი ჭურჭელს, რომ ჰაერის შესვლა და გამოსვლა შეუძლებელი იყვეს; ამ გვარად შენახული თევზები სამი კვირის განმავლობაშიაც კი ახალი და ცოცხალი იქნებიან.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. „Daily Nevs“-ს დეპეშით ატყობინებენ კიმბერლეიდგან 27 ოქტომბერს, რომ ქალაქს მტრები თოფ-ზარბაზნებს ესროდა მთელის დღის განმავლობაში დრო გამოშვებითო.

**დურბანი** „რეიტერის სააგენტო“. როგორც დეპეშით აუწყებენ Natal Advert“-ს ესტკორტიდგან, 700 ბურმა, რომელნიც ვენენიდგან მოვიდნენ, გუშინ მაღლობზედ მაგარი ადგილი დაიჭირა ტურნერის ფერმაში 14 მილის მანძილზედ ესტკორტიდგან სამხრეთისაკენ და მდინარე მოოიდგან ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ. ბრიტანიის ცხენოსანმა ჯარმა და კარაბინერებმა საამრათ გამოიტყუილეს მტერი. მტერმა, რომელმაც, როგორც ისმის, სამი კაცი დაჰკარგა, უკან დაიხია და ფერმიდგან 200 თავი საქონელი გაირეკა.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. ნაუნპორტიდან იუწყებიან 3 ნოემბერს, რომ 1,300 ბურის გასაძლიერებლად, რომელთაც კოლესბერგი დაიჭირეს, კიდევ 1,500 ბურს მოელიანო. ზომეტებული ნაწილი ბურებისა ცხენებით არიან და თან მიაქვთ კარგა ბლომად ტყვია-წამალი და აგრეთვე ოცი ურემი სურსათი; იმათ თან მისდევენ შეიარაღებული შავი მსახურნი.

**ორანჟ რივერი.** „რეიტერის სააგენტო“. როგორც ისმის ბელმონტთან 1,200 ბურია დაბანაკებული.

**ესტკორტი.** „რეიტერის სააგენტო“. ბურები, რომლებმაც ესტკორტიდგან ათი მილის მანძილზედ ჩრდილო-სამხრეთისაკენ ადგილი დაიჭირეს, ვერ გამოიტყუილეს იქიდგან. როგორც ისმის, მდინარე მოოისთან, სამხრეთისაკენ, ბრძოლა არისო. ლედისმიტიდგან სამხრეთისაკენ დაბანაკებული ბურები გულ-მოდგინეთ იძენენ სურსათს.

**კაპშტადი** გაზეთი Standard and Digges Nevs“ რომელიც იოჰანესბერგში გამოდის, აცხადებს, რომ ის ხმები, ვითომც ტრანსვაალის მთავრობას გაეოხრებინოს ოქროს მადნები. სიმართლეს მოკლებული არისო. გაზეთი დასძენს, რომ მადნებში მუშაობა სწარმოებსო, და ოქრო იხარჯება ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცველადაო. ომის გათავების შემდეგ ფულები დაუბრუნდებათ პატრონებსო აქციონერები გულ დამშვიდებით იყვნენ ევროპაში, მადნები არ დაიქცევაო.

**ლონდონი** „რეიტერის სააგენტო“. სალამოს გაზეთებში ესტკორტიდგან მოსული, 8 ნოემბერს, შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი: „ეხლა ცხადდება, რომ გენერალი ჟუბერი მთელი თავის ჯარით სამხრეთისაკენ მიდის ესტკორტზედ. უთუოდ, ლედი-სმიტს თავი დაანებესო“.

**პრეტორია.** „რეიტერის სააგენტო“. უმთავრეს ბანაკიდგან დღეს ცნობა მოვიდა, რომელიც დღეს დილით სამხედრო საბჭოს წარუდგინეს, რომელმაც ორ საათს გასტანა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ შაბათს ესტკორტისაკენ ზარბაზნების ხმა ისმოდაო, და ლედისმიტის მხრიდგანაც დიდხანს ზარბაზნების ხმა მოდიოდა. დილის 8 საათზედ, ინგლისელების მცირე რაზმი ბანაკიდგან გავიდა, მაგრამ ის უკუ ქცეულ იქმნა. ვაშბანი მახლობლად დაჭერილი იქმნა პრეტორიაში გაისტუმრეს ხუთი კარაბინერი.

**დურბანი** 9 ნოემბერი, სალამოს 11 საათი, „რეიტერის სააგენტო“ ესტკორტამდე მიმოსვლა და ამბის მიტანა შეწყვეტილია.

**კაპშტადტი.** „რეიტერის სააგენტო“. იუწყებიან, რომ კაპის პარლამენტის ორი წევრი—ვანდერვალტი და გობერი ბურებს შეუერთდნენ კოლესბერგშიო.

**ვენა.** წარმომადგენელთა პალატამ განაგრძო კამათი წინადადებისა ტუნის სამინისტროს წევრების პასუხის გებაში მიცემის შესახებ და გაგრძელება ამა კამათისა ხვალამდის გადასდო.

**ბერლინი.** გაზეთებს აუწყებენ ლონდონიდგან, რომ, კაპშტადიდგან მოსულ დეპეშებით, კურუმანთა, ბრიტანიის სამფლობელო ბეჩუანში, ბურები დაამარცხეს ბრიტანიის ჯარებმაო. დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ არ მოსულა. ბურები თან-და-თან უფრო ესევიან კაპის ახალშენს. ალივან ნორტი, ბურგერსდორპი, კოლესბერგი და კემპელი მტრის ხელში გადავიდა. მოელიან, რომ ჯემსტოუნიც მტრის ხელში გადავაო. ბურები თან-და-თან უმორჩილებენ ამ ქალაქებს რესპუბლიკას. აფრიკანდიორებისადმი თხოვნა, რომ ბურებს შეუერთდითო, ჯერ ჯერობით უნაყოფოდ რჩება.